AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.201106-001

06.11.2020წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „აისი“ ახალქალაქი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. ზემოაღნიშნულ პროექტზე მიმდინარე წლის 12 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია N2-240 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ახალაქალაქი ჰესის მშენებლობისათვის დამატებით დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს და ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის) მოწყობა.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტით და 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება; ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია), შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია „აისი“-ს კონტრაქტორმა კომპანიამ „ინფრა ქონსთრაქშენ-თიძეი გრუპ“- მა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სამუშაოებს, მოამზადა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობისათვის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს და ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება და ანგარიში, რომელიც მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

**წერილს თან ერთვის:**

- სკრინინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია - 1 ეგზემპლარი;

**AIS LLC**
**(Akhalkalaki HPP)**

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge

№ 17480
09 11 2020
2/C8

- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1CD;

პატივისცემით,

შპს „აისი"-ს დირექტორი
თეიმურაზ მათითაშვილი

**AIS LLC**
**(Akhalkalaki HPP)**

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge